შ.პ.ს. „მშენებლობის პროექტების ექსპერტიზა“

380113 თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 16, ტელ: 337808, 387014, 389640, 371180, ფაქსი 385627, ელ.ფოსტა Info@Expertiza.ge

№-801 „ 31 “ 09 2006წ.

ც ნ ო ბ ა

ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გუგა ჭოხონელიძე ირიცხება მშენებლობის პროექტების ექსპერტიზის სამმართველოს დამტკიცებულ ექსპერტთა სიაში 1995 წლიდან ინჟინერ-გეოლოგის სპეციალობით.

განვლილი პერიოდის განმავლობაში მან ჩაუტარა ექსპერტიზა მრავალი მნიშვნელოვანი ობიექტის პროექტის საინჟინრო გეოლოგიურ ნაწილს.

ცნობა ეძლევა ქ.თბილისის არქიტექტურულ დეპარტამენტში წარსადგენად.

დირექტორის პირველი მოადგილე ლ.მეძმარიაშვილი

O.O.O. "Экспертиза Проектов Строительства"
380113 Тбилиси, пр Важа-Пшавела 16
тел: 337808, 371118, 381180 факс (995 32) 385627
Ел. почта: Info@expertiza.ge

LTD "Examination of Construction Designs"
380113 Tbilisi, Vadgha-Pshavela Av 16
Phone: 337808, 371118, 381180 Fax: (995 32) 385627
E-mail: Info@expertiza.ge

ДИПЛОМ
ДОКТОРА НАУК

МТН № 007499

Москва 23 декабря 1975 г.

Решением
Высшей Аттестационной Комиссии
от 28 ноября 1975 г. (протокол N 18)

Чохонелидзе Гуго Ильичу

ПРИСУЖДЕНА УЧЕНАЯ СТЕПЕНЬ ДОКТОРА
ТЕХНИЧЕСКИХ НАУК

Председатель Высшей
Аттестационной Комиссии

Ученый Секретарь Высшей
Аттестационной Комиссии

დიპლომი

Я № 168169

ეს დიპლომი მიეცა გუგა იღიას ძე
ჭოხონელიძეს
მასზე, რომ იგი 1961 წელს შევიდა ვ.ი.ლენინის
სახ. შრომის წითელი დროშის ორდენოსანი
საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში
და, 1972 წელს დაამთავრა
ამ ინსტიტუტის
სრული კურსი სპეციალობით ჰიდროგეოლოგია
და საინჟინრო გეოლოგია

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1972 წ.
„ 30 “ გადაწყვეტილებით
გ.ი.ჭოხონელიძეს მიენიჭა
ამ ინსტიტუტის
ჰიდროგეოლოგიის კვალიფიკაცია.

ს. ა.

ქალაქი თბილისი 1973 წ. „ 2 “ აპრილი
სარეგისტრაციო № ГЕ-205

Грузинский яз.

ДИПЛОМ

Я № 168169

Настоящий диплом выдан Чохонелидзе
Гуга Ияьичу
в том, что он в 1961 году поступил
в Груз. ордена Трудового Красного Знамени
политехнический инст. им. В.И. Ленина
и в 1972 году окончил полный курс
названного института
по специальности Гидрогеология и
инженерная геология

Решением Государственной экзаменационной
комиссии от 30 Июня 1972 г.
Чохонелидзе Г. И.
присвоена квалификация горного
инженера-гидрогеолога

М. П.

Тбилиси „ 2 “ апреля 1973 г.
Регистрационный № ГЕ-205

Московская типография Гознака. 1972.

გუგა ჭოხონელიძე

(დაბადებული 1928 წ. 16 თებერვალს ქ. თბილისში.)

1945 წ. დავამთავრე ქ. თბილისის მე-12 ვაჟთა სკოლა.
1950 წ. დავამთავრე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტის, სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის სპეციალობა.
1972 წ. დავამთავრე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის (მეორე სპეციალობა) საინჟინრო გეოლოგიისა და ჰიდროგეოლოგიის სპეციალობით.
1954 წ. დავამთავრე ასპირანტურა საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის ინსტიტუტში.
1974 წლიდან ვიყავი იმავე ინსტიტუტში დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში.
1983 წლიდან დღემდე ვარ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გრუნტების მექანიკისა და ფუძე-საძირკვლების კათედრის გამგე.
1992 წ. – 2006 წ. ვარ საქართველოს სამშენებლო პროექტების ექსპერტიზის სამმართველოს ექსპერტი, საინჟინრო გეოლოგიურ ნაწილში.
2007 წლიდან დღემდე ვარ შ. პ. ს. სამშენებლო პროექტების ექსპერტიზის დამფუძნებელ საბჭოს წევრი.

ბოლო 10 წლიწადში შესრულებული სამუშაოები

1. შესრულდა მონოგრაფია „საქართველოს ლიოსები“.
2. დაიბეჭდა სახელმძღვანელო „გრუნტების მექანიკა და ფუძე-საძირკვლები“ - 2005
3. ანგარიში „კლდოვანი ქანების რეოლოგიური თვისებები“ - - - 1995 წ.
4. ანგარიში „ქ. თბილისის საინჟინრო გეოლოგიური პირობები“ - - - 1996 წ.
5. საგრანტო თემა ქ. თბილისის ლიოსისებური გრუნტები - - - 1997 წ.
6. ანგარიში „ქ. თბილისში ვარკეთილის მასივში შენობა-ნაგებობათა დეფორმაციის მიზეზები - - - 1998 წ.
7. ანგარიში „ქ. თბილისში ვარკეთილის მესამე მასივში შენობა-ნაგებობათა დეფორმაციის მიზეზები
8. ანგარიში „ქ. თბილისში ვაზისუბნის მასივში შენობა-ნაგებობათა დეფორმაციის მიზეზები
9. ქ. თბილისში დავით აღმაშენებლის გამზ. №123 ადმინისტრაციული სახლის საინჟინრო-გეოლოგიური პირობები

გაკეთებული მაქვს 80-ზე მეტი საექსპერტო დასკვნა, როდესაც მიწვეული ვიყავი მშენებლობის სამინისტროში საექსპერტო სამმართველოში ექსპერტად მათ შორის:

პროფესორ გ. ჭოხონელიძის მიერ ბოლო ხუთ წელიწადში (2002-2007) ობიექტების საინჟინრო გეოლოგიურ პირობებზე გაკეთებული ექსპერტიზა

№	ობიექტის დასახელება	შემსრულებელი ორგანიგაცია	ექსპერტიზის გაცემის თარიღი
1	ქ. თბილისში, საქართველოს ბავშვთა უღერაციია საავაადმყოფოს-პოლიკნიკას შორის ამხანაგობა "მეშვიდე ცა"-მიერ მრავალფუნქციური შენობის მშენებლობისათვის გამოყენებული საინჟინრო-გეოლოგიური ძიება	ს.ს. საქალაქმშენპროექტი	2004 წ.
2	ქ. ბათუმში ბაბრატიონისა და ხიმშიაშვილის ქუჩებს შორის ცხრა სართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილი მოედნის გეოლოგიური პირობები	ს.ს აჭარსპეცპროექტი	2005 წ.
3	ქ. ბათუმში რუსთაველის ქუჩის გაგრძელებაგე მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობისათვის გამოყოფილი მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობები	ს.ს. საქალაქმშენპროექტი	2005 წ.
4	ქ. თბილისში ქავთარაძის ქ. №21, აბრარული ბაზრის ტერიტორიაგე მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი მშენებლობისათვის გამოყოფილი მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობები	შ.პ.ს. "საინჟგეო"	2006 წ.
5	გემო სამგორისა და ახალი საღახლოს სარწყავი სისტემის ნაგებობების რეაბილიტაციასთან დაკავშირებით ტერიტორიის საინჟინრო გეოლოგიური პირობების გამოკვლევა	შ.პ.ს. "გეოტექსერვისი"	2006 წ.
6	ქ. თბილისის აკადემქალაქის ტერიტორიაგე ალექსიძის №1-ის მიმდებარე მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობასთან დაკავშირებით მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების გამოკვლევა	ს.ს. საქალაქმშენპროექტი	2007 წ.

საექსპერტო დასკვნა

ანგარიშზე ქ. თბილისში დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, ა. მირცხულავას ქ. №11, ყოფილი ს.ს. ქარხანა „ელექტრომეჩავა“-ს ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევის შედეგები №1 საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობასთან დაკავშირებით

შპს „გეომერიდიანის“ დირექციის თხოვნით ჩვენს მიერ 2007 წ. იელისში შემოწმდა ა. მირცხულავას ქუჩაზე ზემოაღნიშნულ ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების ტექნიკური დოკუმენტაცია.

შემოწმების მიზანი:

დადგინდეს მოედანზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოების და მის საფუძველზე შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისობა საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმების, წესებისა და სახელმწიფო სტანდარტების მოთხოვნებთან.

საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები ჩატარებული იქნა ინდივიდუალური საწარმო „გურამ ბიძინაშვილის“ მიერ. სამუშაოების უშუალო ხელმძღვანელი ინჟ-გეოლოგი გ. ბიძინაშვილი. სამუშაოები ჩატარდა 2006 წლის თებერვალში. ლაბორატორიული სამუშაოები ჩატარდა ქ. თბილისის საპროექტოში ს.ს. „საქქალაქმშენი“-ს საინჟინრო-გეოლოგიურ განყოფილებაში.

საექსპერტოდ წარმოდგენილია:

1.	ანგარიშის ტექსტური ნაწილი კომპიუტერზე აკრეფილი	8 გვ.
2.	ტექნიკური დავალება	1 გვ.
3.	ძირითადი ქანების ლაბორატორიული გამოკვლევების ცხრილები	6 გვ.
4.	გრუნტის წყლის ქიმიური ანალიზი	2 გვ.
5.	სახელმწიფო ლიცენზია	1 გვ.
6.	ტერიტორიის გენგეგმა	1 ფურც.
7.	მიედნის ტოპოგეგმა	1 ფურც.
8..	გამონამუშევრების ლითოლოგიური სვეტები	2 ფურც.
9.	უბნის გეოლოგიური ჭრილები	2 ფურც.

გამოკვლევის მიზანი:

ა) მშენებლობისათვის გამოყოფილი უბნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების დადგენა;

ბ) დასაპროექტებელი შენობის დაფუძნების პირობების დადგენა.

უბნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების დასადგენად დასაპროექტებელი შენობის კონტურის ფარგლებში გაიბურღა ხუთი ჭაბურღილი საერთო ჯამური სიღრმით 25.0მ. ბურღვა წარმოებდა ავტომანქანაზე დამონტაჟებული საბურღი დაზგით, კერნების ამოღებით, მშრალი ბურღვის წესით, საწყისი დიამეტრი 127მმ.

აღებული იქნა კენჭნარების 2 ნიმუში და წყლის ორი სინჯი. აღებული იქნა ნიმუშები ყველაზე ძირითადი ქანებიდან, რომელთა შესწავლა მოხდა საქართველოს სსრკა ინსტიტუტის ქანების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების კვლევის ლაბორატორიაში.

გეომორფოლოგიურად საკვლევი ტერიტორია განეკუთვნება მდ. ტკვრის მარცხენა სანაპიროს ჭალისზედა პირველ ტერასას, რომელიც ასევე "დიდუბის ტერასის" სახელწოდებითაა ცნობილი.

ჩატარებული სამუშაოების შედეგად მოედანზე გამოყოფილი იქნა გეოლოგიურ ჭრილში სამი საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი:

1. სგე – კენჭნარები (*d, Qiv*)
2. სგე – ძლიერ გამოფიტული არგალიტები და ქვიშაქვები (P_2)
3. სგე – სუსტად გამოფიტული არგალიტები და ქვიშაქვები (P_2)

შესწავლილია კენჭნარების სიმკვრივე და გრანულომეტრული შემადგენლობა. რაც შეეხება კლდოვან ქანებს, განსაზღვრულია მათი სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა კუმშვაზე.

ავტორი მიღებული მასალების ანალიზის შედეგად წინადადებას იძლევა შენობები დაფუძნდეს კენჭნარებზე ან სუსტად გამოფიტულ არგალიტებზე და ქვიშაქვებზე , რასაც ვეთანხმებით. აღვნიშნავთ, რომ მოედანზე უნდა აშენდეს ორი რეასართულიანი და ორი თოთხმეტსართულიანი ბლოკებისაგან შემდგარი საცხოვრებელი კორპუსი. ოთხივე ბლოკის ქვეშ გათვალისწინებულია ავტოსადგომი.

გრუნტის წყლები დაფიქსირებული იქნა ზედაპირიდან 2.3-2.5 მეტრ სიღრმეზე. წყალი არ არის აგრესიული ბეტონის ნაკეთობის მიმართ.

დასკვნა

წარმოდგენილი სამუშაო შესრულებულია პროფესიულ დონეზე. გაანალიზებულია საველე და ლაბორატორიული ცდებისაგან მიღებული მასალები. ცალკეული შენიშვნები, გამოთქმული ჩვენს მიერ, ავტორისაგან მიღებული იქნა და ანგარიშში შეტანილია სათანადო შესწორებანი. ამრიგად, ანგარიში უეჭველად დაედოს საფუძვლად სამშენებლო პროექტს საინჟინრო-გეოლოგიურ ნაწილში.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
გრუნტების მექანიკისა და ფუძე-საძირკვლების
კათედრის გამგე, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი გ. ჭოხონელიძე